

შპს “ემ ჯი იურიდიული ოფისი”

2022 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

**შპს “ემ ჯი იურიდიული ოფისი”
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-
ის თარიღისთვის**

	შენიშვნა	12/31/2022 ლარი	12/31/2021 ლარი	12/31/2020 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	1,499,027	1,572,425	2,069,086
არამატერიალური აქტივები	5	4,116	4,903	4,800
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებზე	6	2,321,060	1,985,711	1,343,736
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,824,203	3,563,039	3,417,622
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	629,270	367,996	430,842
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		195,978	972,090	1,095,437
სხვა მოკლევადიანი აქტივები	8	2,228,466	2,064,387	1,998,088
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,053,713	3,404,472	3,524,368
სულ აქტივები		6,877,916	6,967,512	6,941,990
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		600,000	600,000	600,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		600,000	600,000	600,000
საგადასახადო ვალდებულებები		41,688	28,569	9,456
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	213,586	310,562	392,079
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		255,274	339,130	401,535
სულ ვალდებულებები		855,274	939,130	1,001,535
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		163	163	163
გაუნაწილებელი მოგება		6,022,479	6,028,218	5,940,292
სულ საკუთარი კაპიტალი		6,022,642	6,028,381	5,940,455
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		6,877,916	6,967,512	6,941,990

**შპს „ემ ჯი იურიდიული ოფისი“
კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2022 -
31.12.2022 პერიოდისთვის**

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	10	1,247,804	1,948,588
ამონაგების თვითღირებულება		-	(10,425)
საერთო მოგება		1,247,804	1,938,163
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(739,185)	(1,334,404)
ფინანსური ხარჯი	12	10,149	25,425
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	13	(524,506)	(541,258)
მოგება დაზღვევამდე		(5,739)	87,926
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(5,739)	87,926



შპს „ემ ჯი იურიდიული ოფისი“
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2021 -
31.12.2021 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2020	163	5,940,292	5,940,455
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	87,926	87,926
ნაშთი - 31.12.2021	163	6,028,218	6,028,381
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(5,739)	(5,739)
ნაშთი - 31.12.2022	163	6,022,479	6,022,642

შპს „ემ ჯი იურიდიული ოფისი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ემ ჯი იურიდიული ოფისი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 28/05/2012). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., №34, მე-7 სართული. მისი ძირითადი საქმიანობის სფეროა, კონსულტაციები იურიდიულ საკითხებში.

შპს ემ ჯი იურიდიული ოფისი-მა 15/10/2019-ში დააფუძნა კომპანია შპს უვა (ს/კ 405359865) რომლის 100% წილის მფლობელს თავად წარმოადგენს.

შპს უვა-ს მთავარ საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახეობები.

დირექტორი: არჩილ გიორგაძე (პ.ნ. 01003009664)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომსახურება დამკვეთს მიეწოდება.

როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების

ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- | | |
|----------------------------|------------------|
| • შენობა-ნაგებობები | 2 პროცენტი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 10 – 20 პროცენტი |

- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების

ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ცვლილებები წარდგენაში

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც შესწორებული / რეკლასიფიცირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

	კორექტირებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	ცვლილება რეკლასიფიკაცი
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1,992,285	2,015,075	(22,790)	კორექტირება
სავაჭრო ვალდებულებები	187,383	187,855	(472)	კორექტირება
საგადასახადო ვალდებულებები	28,569	28,275	294	კორექტირება
საკუროს სხვაობის შემოსავალი (ხარჯი)	(118,317)	(95,527)	(22,790)	კორექტირება
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(433,366)	(433,072)	(294)	კორექტირება

4. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	აღჭურვილობა და სხვა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	მიწა
პერიოდი 01/01/2020	1,165,808	57,767	118	141,408	120,541
შემოსვლა	142,164	650,711			-
ცვეთა	(26,325)	(39,229)			-
ჩამოწერა	-	(2,351)	(118)	(141,408)	-
პერიოდი 31/12/2020	1,281,647	666,898	(0)	-	120,541
პერიოდი 01/01/2021	1,281,647	666,898	(0)	-	120,541
შემოსვლა	-	22,417	-	-	-
ცვეთა	(25,486)	(58,907)	-	-	-
ჩამოწერა	(434,685)	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2021	821,476	630,408	(0)	-	120,541
პერიოდი 01/01/2022	821,476	630,408	(0)	-	120,541
შემოსვლა	-	945	-	-	-
ცვეთა	(17,378)	(56,965)	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2022	804,098	574,388	-	-	120,541



5. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	საბუღალტრო პროგრამა
პერიოდი 01/01/2020	475	0
შეძენა	-	4,500
ცვეთა	(89)	(86)
პერიოდი 31/12/2020	386	4,414
პერიოდი 01/01/2021	386	4,414
შეძენა	744	-
ცვეთა	(191)	(450)
პერიოდი 31/12/2021	939	3,964
პერიოდი 01/01/2022	939	3,964
შეძენა	-	-
ცვეთა	(337)	(450)
პერიოდი 31/12/2022	603	3,514

6. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
შპს ფუდ ალიანსი	956,768	739,026	332,242
შპს დმანისის მეცხოველეობა	922,962	807,355	737,015
შპს ლენდ ალიანსი	234,630	234,630	214,780
შპს უნიტი ემიუზმენტი	206,700	204,700	59,700
სულ	2,321,060	1,985,711	1,343,736

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
სავაჭრო მოთხოვნები	629,270	367,996	430,842
სულ	629,270	367,996	430,842

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
გადახდილი ავანსი	91,181	93,561	87,096
დეპოზიტები და გაცემული სესხები	2,094,951	1,934,427	1,893,183
მისაღები პროცენტი	9,601	4,636	1,127
სხვა მოთხოვნები	32,733	31,763	16,683
სულ	2,228,466	2,064,387	1,998,088

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
სავაჭრო ვალდებულებები	96,028	187,383	390,808
სხვა ვალდებულებები	117,558	123,179	1,271
სულ	213,586	310,561	392,079

10. ამონაგები

	2022 წელი	2021 წელი
ამონაგები საქართველოში გაწეული მომსახურებიდან - 18%-იანი ბრუნვა	1,247,804	1,860,848
ამონაგები საზღვარგარეთ გაწეული მომსახურებიდან - ნულოვანი ბრუნვა	-	87,741
სულ	1,247,804	1,948,588

11. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წელი	2021 წელი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(329,863)	(787,085)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(75,130)	(85,034)
იჯარის ხარჯი	-	-
სხვა ხარჯი	(334,192)	(462,285)
სულ	(739,185)	(1,334,404)

12. ფინანსური ხარჯი / შემოსავალი

	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო შემოსავალი	10,149	25,425
სულ	10,149	25,425

13. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2022 წელი	2021 წელი
საკუროს სხვაობა	(471,316)	(118,317)
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	-	(434,685)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(53,190)	11,745
სულ	(524,506)	(541,258)

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 27 სექტემბერს.

